

საკონსტიტუციო სასამართლოს გამოწვევები კონსტიტუციური ცვლილებების  
კონსტიტუციურობის შეფასების პროცესში

**ზურაბ ქადაგიშვილი**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამართლის სკოლის საჯარო სამართლისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის  
ფარგლებში*

*საჯარო სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ერემაძე, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018 წელი

განაცხადი, როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ზურაბ ქადაგიშვილი

21.06.2018

## აბსტრაქტი

უზენაესი კანონის შინაარსში ცვლილებების შეტანა საკმაოდ პრობლემატური და რთული პროცესია, რადგან ასეთ დროს დიდია კონსტიტუციური ღირებულებითი სისტემის დარღვევის საფრთხე. შესაბამისად, ყურადღებას გავამახვილებთ კონსტიტუციის თვითდაცვის ბერკეტებზე, რომლებიც მის პრაქტიკულ ქმედითობასა უზრუნველყოფენ. მსჯელობის შემდეგ ნაწილში, მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ კონკრეტულად რა რისკებზეა საუბარი, რადგან მათი იდენტიფიცირების გარეშე გაგვიჭირდება პრობლემის გადაჭრის გზების ძიება.

სხვადასხვა ექსპერტის თეორიული მოსაზრებების პარალელურად, აქცენტს გავაკეთებთ საქართველოს საკონსტიტუციო ცვლილებების პრაქტიკაზე და უშუალოდ გავანალიზებთ იმ რეფორმებს, რომლებმაც კონსტიტუციური ღირებულებების დარღვევა გამოიწვია. გამოსავლის ძიებაში ურიგო არ იქნება, თუ გამოვიკვლევთ სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკას საკონსტიტუციო ცვლილებების პროცედურებზე. აღნიშნული დაგვეხმარება ქართული მოდელის შეფასებაში და ამასთან, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოკვეთაში.

ნაშრომის შემდგომი ნაწილი თავისი მნიშვნელობით ცენტრალური იქნება, რადგან აქ დავაკვირდებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციური ცვლილებების კონსტიტუციურობის შეფასების პრაქტიკას. ჩვენი მიზანი სასამართლოს პოზიციის გაანალიზება იქნება. საგულისხმოა გავარკვიოთ რა დამოკიდებულება გააჩნია მას კონსტიტუციური ცვლილებების შემოწმებასთან დაკავშირებით. აქვე მნიშვნელოვანია განისაზღვროს ამ დამოკიდებულების მართებულობა. შემდგომ ვისაუბრებთ რამდენად კარგადაა აღჭურვილი კონსტიტუციის დარაჯი ცვლილებებიდან მომდინარე საფრთხეებთან საბრძოლველად.

შეჯამებისას გავანალიზებთ, რა უნდა შეიცვალოს იმისათვის, რომ ცვლილებების კონტროლმა ეფექტური სახე მიიღოს და კონსტიტუციური ღირებულებათა სისტემა დაცვის გარანტიების გარეშე არ აღმოჩნდეს.

## **Abstract**

Amendments to the content of the Supreme Law are quite problematic and complex process, because in such a time there is a danger of violation of the constitutional value system. According to this, we will pay attention to the constitutional self-defense leverage that will ensure its practical effect. In the next part of discussion, it is important to determine what risks are specifically mentioned, because without the identification of them we will not be able to find ways to solve the problem.

In parallel with the theoretical considerations of various experts, we will focus on the practice of constitutional changes in Georgia and directly analyze the reforms that have led to violation of constitutional values. In search of a solution, it will not be possible to examine the practices of different countries on the constitutional changes. This will help us in evaluating the Georgian model and to find out its advantages and disadvantages.

The next part of the thesis will be central to its significance, as we will look at the Constitutional Court's constitutional evaluation practices by the Constitutional Court. Our goal will be to analyze the court's position. It is noteworthy, to find out how it is related to the examination of the constitutional changes. It is also important to determine the correctness of this attitude. Then we will discuss, how well is the guard of the constitution to fight against the threats related to the Constitutional changes.

In summarizing, we will analyze, what must be changed in order to ensure that the control of the changes is effective and the system of constitutional values not to appear without guarantees.